PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი*

# შპს „პროფიუნიტი“

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნანა შარაბიძე

**წევრი:**

დავით კუპატაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს პროფიუნიტი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი [redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის № 75846 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. დავით კუპატაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს-ს „პროფიუნიტი" პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შემოსული დოკუმენტაცია, დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციები და დოკუმენტები და შეადგინა დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით განხორციელდა დისტანციური ვიზიტი 2021 წლის 16 მარტს. დამატებით დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფი განმეორებით შეხვდა დაწესებულების წარმომადგენლებს ასევე ცენტრის უშუალო ჩართულობით და დაწესებულებამ კიდევ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტები, მათ შორის გაუმჯობესების გეგმა, რომელიც რამოდენიმე პუნქტისგან შედგება.

ექსპერტთა ჯგუფი შეძლებისდაგვარად გაესაუბრა დისტანციური გასაუბრების განრიგის მიხედვით განსაზღვრულ პასუხისმგებელ, საკონტაქტო პირებს, თუმცა ხარისხის მართვის მენეჯერთან და ერთ-ერთ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, მათი ავადმყოფობის გამო.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაუზიარა დაწესებულების წარმომადგენლებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **4) ადამიანური რესურსები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- *არ დაფიქსირებულა*

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*- არ გაცემულა*

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

1.2.2.1.

სასურველია, დაწესებულებამ საქმიანობაში გაითვალისწინოს მათივე რეგულაციების მოთხოვნები და იმოქმედოს მითითებული პროცედურების დაცვით;

3.2.1.1.

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტს „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის“ და სრულყოფილად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის აკადემიური მიღწევების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

გასაუმჯობესებლად სათანადო კონსულტირებისა და მხარდაჭერის პროცესი და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს აღნიშნული მარეგულირებელი წესის მიხედვით;

3.2.1.2.

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს დოკუმენტს „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“ და დოკუმენტში გამოკვეთოს სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებები;

3.2.2.1.

სასურველია, დაწესებულებამ გაამრავალფეროვნოს კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც გამოიხატება ღია კარის დღეების მოწყობით დაწესებულებაში, სადაც დაინტერესებული პირები (პოტენციური სტუდენტები) ადგილზე გაეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამებს, მატარიალურ ბაზას და სხვა დამატებითი სერვისების მიღების შესაძლებლობებს;

4.2.1.4.

სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და უზრუნველყოს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, მის მიერვე შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად;

5.2.1.1.

სასურველია, დაწესებულებამ ერთი ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩუქების დოკუმენტით გადაეცა, აიყვანოს ბალანსზე;

5.2.1.4.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, მოახდინოს დამატებითი რესურსების მობილიზება;

5.2.3.1.

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს წესი, სადაც განსაზღვრავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე;

5.2.3.5.

სასურველის, კატალოგის პროგრამების ჩამონათვალში ჩანდეს, რომ პროგრამების განხორციელება მოხდება დაწესებულების ავტორიზაციის შემდეგ;

5.3.1.4.

სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და შესაბამისად დაგეგმოს  შემდგომი აქტივობები;

<u>სამივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის</u>

2.1.1.3.

სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრს წესი“ და დაიხვეწოს ფორმულებები განსაზღვრებების ნაწილში;

2.2.1.1.

სასურველია, განახლდეს ხელშეკრულება შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ ასევე წარმოადგინოს განახლებული ხელშეკრულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

2.2.1.5.

PDF Eraser Free

სასურველია, მოხდესდაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული ბეჭდური საგანმანათლებლო რესურსების გაციფროვნება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## VIII. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს**

**კოლეჯის მისიაა** - კოლეჯის მისიას წარმოადგენს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალური კადრების მომზადება ქვეყნის სამთო წარმოების სფეროს შრომის ბაზრის ცვალებადი, კონკურენტუნარიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან**

კოლეჯის მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი) - პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალური კადრების მომზადება ქვეყნის სამთო წარმოების სფეროში, რაც განასხვავებს მას სხვა პსდ-გან.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

   კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ,

**კოლეჯის ხედვა:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

- კოლეჯში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული პრაქტიკოსი კურსდამთავრებულებითა და პარტნიორებით ერთ ერთი წამყვანი მონოპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს ქვეყნის ეკონომიკაში სამთო წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

**კოლეჯის ღირებულებები:**

- პროფესიონალიზმი;
- გუნდური მუშაობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია და სიახლეების დანერგვის მუდმივი მზაობა;
- გამჭვირვალობა;
- თანამშრომელთთვის და სტუდენტთათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო და სასწავლო გარემო;
- მოტივირებული და პროფესიონალი პერსონალი და მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვა;
- სამართლიანობის ხელშეწყობა და დაცვა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კოლეჯის ღირებულებები მოიცავს ისეთ საკითხებს: თანამშრომელთთვის და სტუდენტთათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო და სასწავლო გარემო; მოტივირებული და პროფესიონალი პერსონალი და მასწავლებლები; მოტივირებული პროფესიული სტუდენტები; პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვა; სამართლიანობის ხელშეწყობა და დაცვა, რომლებიც არა ღირებულებებია, არამედ ღირებულებების მიხედვით დაწესებულების მხრიდან გასატარებელი კონკრეტული ქმედებებია. ამიტომ, **სასურველია გადაიხედოს დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, ღირებულებების ნაწილში.**

**4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, შპს „პროფიუნიტი"-ს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების გრძელვადიან (შვიდწლიან) სამოქმედო გეგმაში (2016-2022წ.წ.), ასევე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროგრამების განმახორციელებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, როგორც დაწესებულების კოლექტივს, ასევე დამსაქმებლებს, რომლებიც ამავე დროს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციები არიან, გაცნობიერებული აქვთ კოლეჯის როლი ქვეყნის სამთო წარმოების განვითარებაში, იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული მისიის განაცხადი, ხედვა და ღირებულებები
- ინტერვიურების შედეგები

**შეფასება**:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

## კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად მოხდა 2015 წლის 30 დეკემბრის № 49/15 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2016-2021წ. გეგმა" გადახედვა და 2020 წლის 21 იანვრის № 09/20 ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2016-2022წ. იგივე მეთოდოლოგიის საფუძველზე და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეა შემუშავებული 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება № 10/20, 22.01.2020წ.).

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით მოხდა არსებული სტრატეგიული გეგმის გადამუშავება და ამ პროცესში ჩართული იყვნენ არა მარტო დაწესებულების თანამშრომლები, არამედ შპს „ჯორჯიან მანგანეზი"-ს წარმომადგენლებიც, ვინაიდან ისინი კოლეჯში წარმოდგენილი არიან არა მარტო როგორც პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების ძირითადი დამსაქმებლები, არამედ როგორც პარტნიორი ორგანიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებლები.

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

შპს „პროფიუნიტი“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; დაწესებულების სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია ისეთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების განვითარებაზე, როგორიცაა ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება, საბიბლიოთეკო ფონდის უწყვეტი განახლება, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობაში. სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების სავარაუდო პერიოდს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „პროფიუნიტი“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმა 2016-2022წ. (დირექტორის ბრძანება№ 09/20, 21.01.2020 წ.)
- დაწესებულების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება № 10/20, 22.01.2020წ.).

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ივლისში უნდა განხორციელებულიყო.

თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გამო და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროცესი ამ დროს არ მიმდინარეობდა, მონიტორინგი არ ჩატარებულა, ხოლო 2020-2021წ გეგმის მონიტორინგი ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ უნდა ჩატარებულიყო, შესაბამისად, წარმოდგენილია მხოლოდ 2019-2020წ სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ამიტომ, **სასურველია, რომ დაწესებულებამ საქმიანობაში გაითვალისწინოს მათივე რეგულაციების მოთხოვნები და იმოქმედოს მითითებული პროცედურების დაცვით.**

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოიტორინგის შედეგებზე დაწესებულება მოახდენს შესაბამის რეაგირებას, მაგ. დააკორიქტებს გეგმას, დააზუსტებს ჩანაწერებს, დააკორექტირებს აქტივობის შესრულების ვადებს, ამოიღებს ან დაამატებს აქტივობას და სხვ. ყველა სავარაუდო განსახორციელებელი ცვლილება საბოლოოდ მტკიცდება დაწესებულების დირექტორის მიერ.

თუმცა, ვინაიდან სამოქმედო გეგმის (2019-2021წ.) მონიტორინგი არ ჩატარებულა, ხოლო 2020-2021წ გეგმის მონიტორინგი ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ უნდა ჩატარებულიყო (იხ. პუნქტი1.), ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა გადაემოწმებინა რეალურად განხორციელებული რეაგირება შეფასების შედეგებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმეგო გეგმის შესრულების, ან მონიტორინგის ანგარიშები ქვეყნდება დაწესებულების ვებ გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. (ვებ გვერდზე განთავსებულია 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში)

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „პროფიუნიტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმა 2016-2022წ;
- დაწესებულების ერთწლიანი (2020-2021წ.) სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმის (2019-2020 წ.) შესრულების ანგარიში;
- დაწესებულების ვებ გვერდი
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

### 3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**

პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები"-თ. რომელიც თავის თავში მოიცავს ისეთ პუნქტებს, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის **უფლებები** - მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, დააფუძნოს პროფესიული და სხვა ორგანიზაციები, ან გაერთიანდეს მასში, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობისაგან, ჩაერთოს დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შედგენა-შემუშავების პროცესში, დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, წინასწარ გაეცნოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, შეფასების სისტემებს და შედეგებს, ყოველგვარიდისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, **ვალდებულებები** - არასაპატიო მიზეზით დაგვიანება-გაცდენა, არ დააზიანოს დაწესბულების ქონება, დაიცვას ხანძარსაწნააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები, მათთან **ხელშეკრულების გაფორმების თავისებურებები** - საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პირობები, დაწესებულებისა და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედიბის ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი, **კონფიდენციალობა და გამოხატვის თავისუფლება -**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

სტუდენტის მიერ დაწესებულების პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული იინფორმაციის დაცვა განსაჯაროებისგან სტუდენტის თანხმობის გარეშე, **სტუდენტთა უფლებები დისციპლინარული წარმოებისას** - დისციპლინარული წარმოება უნდა იყოს გადაცდომის თანაზომიერი და არა სტუდენტის პატივისა და ღირსების შემლახავი, **კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები** - თანაბრადხელმიასწვდომი მოქმედი და პოტენციური სტუდენტებისათვის, პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბება.

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს**

პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლები არიან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორი. აღნიშნული პასუხისმგებლობა გაწერილია მათ სანსახურეობრივ აღწერილობაში.

ვინაიდან ამჟამად დაწესებულებას არ აქვს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისად არ ყავს მოქმედი აქტიური სტუდენტი, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ვერ განხორციელდა.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის“ (დირექტორის ბრძანება №22.20, 27.08.2020წ.), რომელიც მოიცავს 12 პუნქტს და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოდულის შეფასების სისტემა, ტიპები და მიმართულებები, შეფასების შედეგებზე სტუდენტების ინფორმირება, შეფასების პრინციპები, გასაჩივრების წესი, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი და სხვა.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც მოცავს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების წესებს, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თავისებურებებს (პუნქტი 11) და განსაზღვრავს სწავლა -სწავლების პირობებს, დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-ვალდებულებებს, სწავლის საფასურს და ანგარიშსწორების წესს, ხერშეკრულების მოქმედების ვადას და შეწყვეტის პირობებს, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესს და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

დაწესებულების დირექტორის მიერ დატკიცებულია (ბრძანება №43/18, 09.10.2018წ.) „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც 15 პუნქტისაგან შედგება და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება მოდულის მიხედვით, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, აგრეთვე მობილობის წესით გადმოსული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის, თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებისა და მიღწევისათვის. აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესი ითალისწინებს პროფესიული სტუდენტის თანამონაწილეობას ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში, რათა მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას მისი ინტერესები (პუნქტი 11).

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების დირექტორის მიერ დატკიცებულია (ბრძანება №43/18, 09.10.2018წ.) „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“
- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“
- „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის“ (დირექტორის ბრძანება №22.20, 27.08.2020წ.)
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის" (დირექტორის ბრძანება №22.20, 27.08.2020წ.), რომელიც მოიცავს 12 პუნქტს და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროფესიული მასწავლებლის / ინსტრუქტორის მიერ შეფასების შედეგებზე პროფესიული სტუდენების ინფორმირება და კონსულტირება სასწავლო პროცესის კოორდინატორთან ერთად (პუნქტი 7).

**სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტს „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის" და სრულყოფილად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სათანადო კონსულტირებისა და მხარდაჭერის პროცესი და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს აღნიშნული მარეგულირებელი წესის მიხედვით.**

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები", რომელიც მოიცავს სტუდენტების შეხვედრას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან, უსაფრთხოების სპეციალისტთან და რომლის ორგანიზებაზეც პასუხისმგებელი არიან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორი (პუნქტი 5).

**სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს დოკუმენტს „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“ და დოკუმენტში გამოკვეთოს სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებები**

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც მოიცავს დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, რაც გულისხმობს, რომ დაწესებულება იღებს ვალდებულებას, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა - **ცნობის გაცემა** მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, **დიპლომის გაცემა** შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, შიდა და გარე მობილობის პროცესის ხელშეწყობას გონივრულ ვადაში, მიღებული განათლების აღიარებას და სხვ. (პუნქტი 13)

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც მოიცავს პროფესიული დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივის/ აქტივობის მხარდაჭერას წელიწადში არაუმეტეს ორი ინიციატივის/აქტივობისა, დაწესებულების არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და ასევე იმ ინიციატივის/ აქტივობის წამომდგენს, რომელიც ვერ მოიპოვებს დაწესებულების მხარდაჭერას, დაწესებულებისაგან გაეგზავნება მოტივირებული და დასაბუთებული უარი გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების პროცესში წარმოქმნილ დარღვევების გამოსავლენად პროფესიულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------



------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

პროცედურას. ანონიმური გამოკითხვის კითხვარს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. გამკითხვის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერეი ინტერესების დაცვის მექანიზმების დაცვის ეფექტურობას, მისი გამოყენების სტატისტიკას, გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას და საჭირო შემთხვევაში მათ დახვეწას.

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“;
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის**

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების როლს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

არსებული და პოტენციური სტუდენტების პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, რაც მიიღწევა გასვლითი ღონისძიებების ჩატარებით სკოლებში, სადაც დეტალურად მოხდება დაწესებულების მიერ შეთავაზებული სერვისების განხილვა.

PDF Erase Free

**სასურველია დაწესებულებამ გაამრავალფეროვნოს კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც გამოიხატება ღია კარის დღეების მოწყობით დაწესებულებაში, სადაც დაინტერესებული პირები (პოტებციური სტუდენტები) ადგილძე გაეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ ბაზას და სხვა დამატებითი სერვისების მიღების შესაძლებლობებს.**

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დაწესებულებაში არსებული კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების დასაქმება, ამ მიზნით დაწესებულება სწავლის ყველა ეტაპზე ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, იძიებს და სისტემატურად ამუშავებს დამსაქმებელთა ბაზებს, მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს. ქმნის სამუშაოს მაძიებელ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს, ეხმარება პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, თემატური შეხვედრების ორგანიზების მხრივ.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დასაქმების შესაძლებლობების/ ვაკანსიის და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევას, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და დასაქმეულთა კარიერული წინსვლის კვლევას ანხორციელებს ხარისხის მართვის კოორდინატორი, რომელიც კვლევის შედეგებს წარუდგენს დირექტორის მოადგილეს. ასევე, დაწესებულების პრაქტიკის კოორდინატორი პერიოდულად, ყოველ ექვს თვეში ერთხელ ატარებს გამოკითხვას პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, რესპოდენტები არიან როგორც პოტენციური დამსაქმებლები ასევე დასაქმებულები და გამოკითხვის შედეგების დამუშავებით ადგენს შესაბამის ანგარიშს.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და დასაქმეულთა კარიერული წინსვლის კვლევის და პრაქტიკის კოორდინატორი გამოკითხვების შედეგების შესწავლის, დამუშავების და ანალიზის შემდგომ შედგენილი ანგარიშის საფუძველზე, ხდება სწავლება-სწავლის შედეგების გადაფასება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება № №30/20, 01.09.2020წ.) „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები";
- დაწესებულების დირექტორის ბრძანება №01/21,17.03.2021წ. „შპს პროფიუნიტის შინაგანაწესის მეოთხე მუხლის 4.2.პუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებულთა სამსახურეობრივი ფუნქციების სრულყოფის შესახებ";
- ინტერვიუ დაწესებულების პრაქტიკის კოორდინატორთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. ადამიანური რესურსები

### 4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

PDF Eraser Free

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულების მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები განსაზღვრულია დოკუმენტით „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №40/20,15.10.2020წ. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის პესრსონალის სტრუქტურული/ სამსახურეობრივი უფლებამოსილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დისტანციური გასაუბრების დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ წარმოადგინა აღნიშნულ დოკუმენტში განხორციელებული ცვლილება (დირექტორის ბრძანება№01/21, 17.03.2021წ.), რომეშიც სხვადასხვა თანამშრომელს/ ადმინისტრაციულ პერსონალს დაუკონკრეტდათ ფუნქცია-მოვალეობები.

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია მოვალეობები ისეა გადანაწილებული, რომ უზრუნველყოფილია დაწესებულების ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმიანობის შეუფერხებლად შესრულება. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პუხისმგებელი პირები განსაზღვრულია მათი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

კოლეჯის მიერ შემუშავებული და გადამუშავებული პერსონალის სამსახურეობრივი უფლებამოსილების დოკუმენტი გამორიცხავს ხარისხის მართვის კოორდინატორის ფუნქციების გადაფარვას და ინტერესთა კონფლიქტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №40/20,15.10.2020წ.;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------



------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

- ➢ დაწესებულების დირექტორის ბრძანება№01.21, 17.03.2021წ „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები"-ში ცვლილებების შესახებ;
- ➢ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №32/20, 02.09.2020წ. დამტკიცებულია შპს პროფიუნიტის შინაგანაწესის შესაბამისად, რომლის მეოთხე მუხლით გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების - კოლეჯის მართვის სტრუქტურა, პერსონალის ფუნქცია მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, რომლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დადებისას წარსადგენი დოკუმენტები და პირობები. დამსაქმებლის გადაწყვეტილებით კანდიდატთა დასაქმება და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება ხდება როგორც გასაუბრებით, ასევე შესაძლებელია კონკურსის წესით მიღება, რომლის დროსაც შექმნილი საკონკურსო კომისია კონკურსის ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარებას, რას კვალიფიციური კადრების მოზიდვის გარანტიაა.

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობებისთვის „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებ“-ში, განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

შპს კოლეჯი პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც გამოიხატება საკითხების გუნდურად განხილვასა და შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“ (დირექტორის ბრძანება №32/20, 02.09.2020წ);
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4.2 პერსონალის განვითარება

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია", რომლის მერვე პუნქტით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომლის მიზანია პერსონალის კარიერული განვითარება, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. რისთვისაც დაწესებულება ახდენს პერსონალის კომპეტენციების შეფასებას ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით.

ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ შეფასება არ ჩატარებულა, ვინაიდან, ერთის მხრივ დაწესებულებას არ ყავს აქტიური სტუდენტები და მეორე მხრივ, შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო დაწესებული შეზღუდვების პირობებში, დაწესებულება სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებდა.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

კვლევის შედეგების მიხედვით ხდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების (ტრენინგი, სასწავლო კურსი, განმავითარებელი დავალება და სხვ) დაგეგმვა-განხორციელება.

განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება არ მომხდარა, ვინაიდან არ ჩატარებულა პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა (იხ. პუნქტი1.)

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენის შემდგომ ხდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების (ტრენინგი, სასწავლო კურსი, განმავითარებელი დავალება და სხვ) დაგეგმვა-განხორციელება.

განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება არ მომხდარა, ვინაიდან არ ჩატარებულა პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა (იხ. პუნქტი1.)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, რომლის მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულია დასაქმებულის ადაპტაცია სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც ახალ თანამშრომელს ადაპტაციის პერიოდში ეხმარებიან უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებით აცნობენ მის უფლება-მოვალეობებს, სასწავლო გარემოს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თავისებურებებს, მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოქმედ აქტებს. დაწესებულებას რეგულაცია შემუშავებული აქვს, თუმცა გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ახალი თანამშრომლის მიღება სამსახურში რეგულაციის შემუშავების შემდგომ არ მომხდარა.

**სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და  უზრუნველყოს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება , მის მიერვე შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად**

5. **პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დაწესებულება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მიზნით იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, კერძოდ მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, წახალისება ფულადი სახით (პრემია).

დაწესებულებამ გასაუბრების დროს წარმოადგინა კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლების სადღესასწაულოდ ფულადი პრემიით (სახელფასო დანამატი) დაჯილდოების და პროფესიულ მასწავლებელთა სახელფასო საათობრივი ანაზღაურების გაზრდის შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, (დაწესებულების დირექტორის ბრძანება №23/20, 27.08.2020წ.)
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება

**შეფასება:**

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

დაწესებულების მფლობელობაშია ოთხსართულიანი შენობა სარდაფით (მის. ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №29), რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობით გადმოეცა შპს პროფიუნიტს და ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №29 -ში არსებული ოთხსართულიანი შენობის , სარდაფით მესაკუთრეა შპს პროფიუნიტი. შენობის საერთო ფართია 3570,8 კმ.მ. აღნიშნული შენობის პირველი და მეორე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

სართული შესაბამისი უძრავ-მოძრავი ქონებით გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, თეორიული სწავლების აუდიტორიები, შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, დარგობრივი კაბინეტები, ფოიე, არქივისათვის გამოყოფილი სივრცე, ბიბლიოთეკა და სანიტარული კვანძები.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის**

დაწესებულების შენობაში განთავსებული სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ფოიე, დარგობრივი კაბინეტები, შესაბამისი აღჭურვილობით, დაწესებულების მიერ დადგენილი „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი"-თ დამტკიცებული დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული წესი შედგება 26 პუნქტისგან და ასევე, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების ეფექტურად და წარმატებულად წარმართვის უზრუნველყოფა, კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობა, კომუნიკაციების და ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის.

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები**

საგანმანათლებლო დაწესებულების მთელს პერიმეტრზე სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დაწესებულების დამლაგებელი დაწესებულებაში შემუშავებული სანიტარული წესების დაცვის რეგულაციის შესაბამისად. ამავე დროს დაწესებულების დარაჯს ბრძანებით (№15/20, 15.06.2020წ.) დაევალა პანდემიის პირობებში და ვადით, სამუშაო დროის განმავლობაში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციებში გაწერილი წესების შესაბამისი ქმედებები. დისტანციური გასაუბრების დროს მოხდა შენობის ორი სართულზე განთავსებული აუდიტორიების, ლაბორატორიების, თანამშრომლების სამუშაო სივრცეების, ბიბლიოთეკის, სანიტარული კვანძების და დამხმარე სათავსოების, ასევე დერეფნების ვიზუალური დათვალიერება. დათვალიერების შედეგად დასტურდება ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციებში გაწერილი წესების დაცვა.

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

კოლეჯის შენობის ფართის გათბობა ამჟამად ხორციელდება ოთახის ელექტრო კონვექტორების მეშვეობით (32 ერთეული), ხოლო რაც შეეხება ცენტრალური გათბობის სისტემას, დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულების შენობის ორ სართულზე იგეგმება ცენტრალური გათბობის სისტემის შეძენა და მონტაჟი. სამუშაოების დასრულების თარიღია 16.09.2021წ.

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები**

დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვისა და მართვის მიზნით ჰყავს სერთიფიცირებული პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება (№19/20,

PDF Eraser Free

01.10.2020წ). ხელშეკრულება მოიცავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და დამსაქმებლის ვალდებულებებს. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებას, თავის საქმიანობა წარმართოს ისე,რომ დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები.

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია, რომელზედაც დისტანციური ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა გაუმჯობესიების გეგმა და აღნიშნული რეგულაციის შემუშავების ვადად განისაზღვრა 16.05.2021წ.

**7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს მატერიალური რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ.

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის**

დაწესებულების შენობის მეორე სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძი ვაჟებისთვის, რომელიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. შენობის მეორე სართულზევე არის განთავსებული სანიტარული კვანძი ქალებისთვის, რომელიც ამ მომენტისთვის არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

დაწესებულება წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც იგეგმება შშმ პირებისთვის ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობა მიმდინარე წლის 16.09.2021-მდე.

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა**

დაწესებულების ყველა ფართში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემით.

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

დაწესებულების ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული ფართი უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი შესასვლელით, არ არის ერთმანათში გამავალი და შესაბამისად არ წარმოადგენს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებისათვის შემაფერხებელ ფაქტორს.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებულია 8 სამადგილიანი მაგიდა, 16 სკამი, 1 კომპიუტერი, 1 მრავალფუნქციური პრინტერი, ასლის გადაღების და სკანერის შესაძლებლობით, საერთო ფართით 81,8 კვ.მ. ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკას ემსახურება მდივან-ოპერატორი ასმათ მუმლაძე რომელსაც დირექტორის 04.01.2016 წლის ბრძანებით (#01/16) შეთავსებით დაკისრებული აქვს ბიბლიოთეკარის უფლებამოსილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულებას აქვს შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"-ს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და მდგრადობის დადგენის მიზნით, რომლითაც ირკვევა საზოგადოებრივი კოლეჯის "პროფიუნიტი" შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

ამავე დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმების აქტი (28.10.2020წ.) აქტი მოიცავს 10 პუნქტს, რომელთაგან ყველა პუნქტი დადებითია.

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (წესები), რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ, ბრძანება №27/20, 31.08.2020წ. და რომლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია ექთანი, რომელთანაც გაფორმებული არის შრომითი ხელშეკრულება.

დისტანციური გასაუბრების დროს მოხდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების და ინვენტარის დათვალიერება, რომლების მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ინახება.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით№ 36/20, 09.10.2020წ., რომელშიც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა, რომელიც შეთანხმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დაწესებულების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი, რომელის ფუნქცია - მოვალეობები დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №40/20,15.10.2020წ.დამტკიცებულ „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის / პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“-შია გაწერილი.

დაწესებულებას არ გააჩნია წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შენობის მთელ შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული სათვალთვალო კამერები, დისტანციური ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვით 2021 წლის 16 ივნისისთვის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟდება სათვალთვალო კამერები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის / პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- დაწესებულებაში მოქმედი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუ

**შეფასება:**

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 5.2 საინფორმაციო რესურსები

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს**

დაწესებულების მფლობელობაში არსებული IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, კერძოდ კომპიუტერების რაოდენობა არ არის საკმარისი დაწესებულების პროცესების წარმართვისათვის.

დისტანციური გასუბრების დროს აღნუშნული შენიშვნა გაიზიარა დაწესებულების ადმინისტრაციამ და 2021 წლის 18 მარტს შეიძინა 2 ერთეული ნოუთბუკი (მეორადი) და წარმოადგინეს ასევე 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერის ჩუქების დოკუმენტი.

**სასურველია დაწესებულებამ 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩუქების დოკუმენტით გადაეცა აიყვანოს ბალანსზე.**

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება №29/20, 01.09.2020წ.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას**

დაწესებულებაში არ არის შემუშავებული პერსონამის მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რაზეც წარმოადგინეს გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 16 მაისამდე უნდა შეიმუშაონ აღნიშნული დოკუმენტი.

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ.

**სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, მოახდინოს დამატებითი რესურსების მობილიზება.**

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ხოლო პერსონალისათვის მათი სამუშაო კომპიუტერები. დაწესებულება გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს „პროსერვის“-თან, რომელიც უზრუნველყოფს www.profiuniti.edu.ge – სივრცის გამოყოფის შესახებ.

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით**

დაწესებულებას არ აქვს შექმნილი კორპორატიული ელექტრონული ფოსტა დაწესებულების თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის. რის გამოც წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის კორპორატიული ელექტრონული ფოსტის შექმნას 2021 წლის 16 მაისამდე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

- ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ნოუთბუკების შესყიდვის დოკუმენტები;
- პერსონალური კომპიუტერის ჩუქების დოკუმენტი;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუ

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, დაწესებულებას აქვს საკანცელარიო ჟურნალები, სადაც წარმოებს გამოცემული აქტებისა და შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების აღრიცხვა, რეგისტრაციის ჟურნალები ზონარგაყრილი, გადანომრილი და დალუქული შესაბამისი წესით, ბრძანებები და ხელშეკრულებები რეგისტრაციის ჟურნალებში გატარებულია.

**2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის**

PDF Eraser Free

დაწესებულების მართვაში გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოების/ დოკუმენტბრუნვის თანამედროვე სისტემა eflow გარე კომუნიკაციისთვის. თუმცა, **სასურველია დაწესებულებამ მართვაში გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები.**

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის და პროგრამების კოორდინატორი, რომელსაც ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №40/20,15.10.2020წ. დამტკიცებულ „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის / პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებშია“ გაწერილი.

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან (განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვ.) და დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების საქმისწარმოების წესი;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს**

დაწესებულება საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს ვებ გვერდისა( www.profiuniti.edu.ge ) და სოციალური ქსელის (facebook გვერდი) მეშვეობით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ვებ გვერდის ადმიმისტრირება დავალებული აქვს სპეციალურად გამოყოფილ თანამშრომელს, რომელსაც განსათავსებელ ინფორმაციებს აწვდიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

**სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს წესი, სადაც განსაზღვრავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე.**

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებ გვერდი, რადგან არ ახორციელებს და უახლოეს პერიოდში არც გეგმავს უცხოენოვანი პროგრამების დამატებას, შესაბამისად არც მისიის განაცხადში არ აქვს განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

დაწესებულებას ჰყავს სპეციალურად გამოყოფილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ვებ გვერდზე განთავსებული სასწავლებლის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

კატალოგი ინფორმატიულია და მოიცავს შემდეგ საკითხებს - დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების ისტორია და სხვა საინტერესო საკთხები პოტენციური და მოქმედი სტუდენტებისთვის.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად**

დაწესებულება სისტემატიურად ანახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს და ვებ გვერდზე განთავსებულია კატალოგების არქივი 2013 წლიდან 2019-2020 წლების ჩათვლით და ასევე შემუშავებული აქვს 2020-2021 წ კატალოგი, რომელშიც **სასურველია, კატალოგის პროგრამების ჩამონათვალში ჩანდეს, რომ პრორამების განხორციელება მოხდება დაწესებულების ავტორიზაციის შემდგომ.**

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დაწესებულება საზოგადოების, პროფესიული სტუდენტების, პოტენციური სტუდენტების, კურდამთავრებულების, დამსაქმებლების მხრიდან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- დაწესებულების ვებ გვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 5.3 ფინანსური რესურსები

### 5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით, რომელსაც პროფესიულ სტუდენტებს უფინანსებს შპს „ჯორჯიან მანგანეზი“. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად.

**2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით**

დაწესებულება აწარმოებს დაფინასების დინამიკას, რის საფუძველზეც იღებს სწორ ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

დაწესებულებას ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე არ აქვს ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები. **გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის** მიხედვით იღებს ვალდებულებას ფინანსური ანგარიშები განათავსოს შესაბამის პორტალზე ორი კვირის ვადაში.

4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დაწესებულების ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

**სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი აქტივობები**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 2019-2020 წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- 2020-2021 წ. სამოწმედო გეგმა
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამთო ტექნიკოსი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში/ Basic Vocational Qualification in Mining |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0724 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. #29 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 60 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 75 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

 PDFEraserFree

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free
დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს რეგიონის მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ რეგიონში მდებარეობს მანგანუმის მადნის მომპოვებელი კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი, რომლიდანაც არსებობს მოთხოვნა პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მქონე სამთო კადრებზე. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სასწავლებელი ახორციელებს მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას: „სამთო ტექნიკოსი“, რომელიც თანხვედრაშია დაწესებულების მისასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ, პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები. დაწესებულებას აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა „კოლეჯში ჩარიცხვის წესი“, რაც ზეპირი გასაუბრების წესით შერჩევა-მიღებას ითვალისწინებს.

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“ რომელიც დამტკიცებულია შპს ,,პროფიუნიტი“ს დირექტორის 2020 წლის 01 01 სექტემბერი #31/20 ბრძანებით, კერძოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ გეგმას ამზადებს შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: ა) პროფესიული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა; ბ) სასწავლო გეგმით განსაზღრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კვირეული საკონტაქტო დატვირთვა; გ) A, B და C გარემოების გამტარუნარიანობა და ცვლაში გამოყენების შესაძლებლობა; დ) ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; ე) პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად შესაბამისი საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; ვ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

**სასურველია, გადაიხედოს „პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“ და დაიხვეწოს ფორმულირებები განსაზღვრებების ნაწილში.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სამთო ტექნიკოსი“ გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს **60 პროფესიულ სტუდენტს წელიწადში.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო ტექნიკოსის“ მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, რომელთა შინაარსი არის შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროგრამას აქვს ოთხი სავალდებულო არჩევითი მოდული (1. ტექნიკური დოკუმენტაცია და გრაფიკული მასალები, 2. გვირაბის სამაგრი მკონსტრუქციები, 3. ასაფეთქებელი საშუალებების და ობიექტის ასაფეტქებლად მომზადება, 4. ასაფეთქებელი ქსელების მონტაჟი) რომლებიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, 2019 წლის 18 მარტის #09/19 ბრძანებით.

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

„სამთო ტექნიკოსის“ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

